**„თეთრი მოძრაობის" ლიდერი თეიმურაზ შაშიაშვილი ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას მიმოიხილავს და ბიძინა ივანიშვილს საგანგებო განცხადებით მიმართავს. მისი თქმით, ოლიგარქი იგორ კოლომოისკი, რომელიც „ჭიათურმანგანუმის", ზესტაფონის ფეროსა და „ვარციხეჰესის" მფლობელია, სააკაშვილს იულია ტიმოშენკომ დააკავშირა:**




# თეიმურაზ შაშიაშვილი: რასაც ახლა გეუბნებით, შესაძლოა, სიცოცხლის ფასად დამიჯდეს!

**„სააკაშვილმა სააავადმყოფოში მინახულა და მითხრა – ამერიკის საელჩო ჯიბის ფულის სახით ყოველთვიურად 25 ათას დოლარს მაძლევს და აქედან რომ გამოხვალ, დაავილაპარაკოთ, პარტია ერთად შევქმნათო!"**

— ჩვენს წინა ინტერვიუს, რომელიც „ასავალ-დასავალში" გამოქვეყნდა, დიდი რეზონანსი მოჰყვა და ბევრი ვინმეც შეშფოთდა. **უახლოეს მომავალში შევარდნაძის მაღალჩინოსნების შესახებ გავასაჯაროებ კვლევას და საზოგადოებას ვამცნობ, თუ რა ქონება ჩაიგდეს ხელში ედუარდ შევარდნაძის მაღალჩინოსნებმა და უახლოესი გარემოცვის წევრებმა!** მერწმუნეთ, საზოგადოებისთვის ეს იქნება ნამდვილი შოკი.

ანალიზი რომ გავაკეთე, საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივედი, რომ დღეს საქართველოში მეწარმემ თავისი შემოსავლის 52 პროცენტი სახელმწიფოს უნდა გადაუხადოს, რათა იარსებოს. აქ ძირითადად საუბარია „დღგ"-ზე, რომელიც ძალიან ბევრ ქვეყანაში უკვე გაუქმებულია და ასევე საშემოსავლო გადასახადზე, რომელიც 20 პროცენტს შეადგენს. არადა, რუსეთმა როგორ უნდა გვაჯობოს ეკონომიკის ლიბერალიზაციის კუთხით, სადაც საშემოსავლო გადასახადი პუტინმა 13 პროცენტამდე დაწია.

**— ბატონო თემურ, ვინ არის უჩა მამაცაშვილი, რომლის გარშემოც ამდენი ვაი-უშველებელია ატეხილი?**

— ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილი **უჩა მამაცაშვილი** არამარტო ქვეყნის, არამედ ბიძინა ივანიშვილის უბედურებაც არის! გავა დრო და ბიძინა ივანიშვილი ამაში თავად დარწმუნდება. **ორი ვარიანტია — ბიძინამ ან იცის, რასაც უჩა მამაცაშვილი სჩადის და ხმას არ იღებს, ანდა არაფერი იცის!** მე უფრო პირველი ვარიანტისკენ ვიხრები.

**— მაინც რას აკეთებს ეს კაცი ამისთანას?**

— ჯერ გეტყვით მოკლედ, ხოლო ზესტაფონისა და ჭიათურის ამბებზე რომ გადავალ, უფრო კონკრეტულად ვილაპარაკებ! თუ გინდათ, დღეს საქართველოში უცხოელი ინვესტორი შემოიყვანოთ და ბიზნესის თემა დაალაგოთ, ეს საკითხი **უჩა მამაცაშვილთან** უნდა შეათანხმოთ! მამაცაშვილის გარეშე ეს ამბავი არ გამოვა!

პირდაპირ გეტყვით: **დღეს საქართველოში უჩა მამაცაშვილი ყველაფერია, თუმცა, ის მარტო არ არის! საქართველოში ამერიკული საგადასახადო სისტემა კი არ შემოაქვთ, არამედ, რაც ნაგავია და რაც ამერიკელების აბსოლუტურ უმრავლესობას არ მოსწონს, მაინცდამაინც იმას გვახვევენ თავს.** თუ კარგი ეკონომიკური პროექტი აქვს, ამერიკაში მოქალაქეს შეუძლია, ერთპროცენტიანი წლიური სესხი აიღოს! ერთპროცენტიანი წლიური სესხის აღება საქართველოში ვინმეს წარმოუდგენია?

ვერავინ დამარწმუნებს, რომ, თუ არა ხელოვნური ჩარევა, ათ დღეში ლარი დოლართან მიმართებაში ათი პუნქტით გაუფასურდებოდა და მერე ისევ დასტაბილურდებოდა. **დიახ, ეს გაკეთდა ხელოვნურად და ამას მსოფლიოში აკეთებს ორად ორი ქვეყანა — საქართველო და რუსეთი!** როცა ეროვნული ვალუტის მობილიზება უნდათ, ლარს გააუფასურებენ, მერე ისევ გაამყარებენ.

**— კრიტიკას ვერ უძლებს საპენსიო რეფორმაც, როცა მეწარმეებს დამატებით 2-პროცენტიანი გადასახადი დაუწესეს.**

— შექმნილი ვითარების გამო მეწარმეები ცდილობენ, თანამშრომლები დაითხოვონ, რათა ახალი, 2-პროცენტიანი გადასახადი როგორმე შეამცირონ. თავის მხრივ, ნებისმიერი არჩევნების წინ ეს არის ხელისუფლებისთვის ბერკეტი, ზემოქმედება მოახდინოს ამომრჩეველზე და ოპოზიციურად განწყობილი პიროვნება დააშანტაჟოს — თუ ხმას არ მოგვცემ, სამსახურს დაკარგავო!

ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ეს ხელისუფლება დგას ბანკებსა და ბანკირებზე. აი, მაგალითად, ავიღოთ **მამუკა ხაზარაძე,** რომელიც თითქოსდა დასაჯეს, მაგრამ სინამდვილეში ბანკს არავინ შეხებია! პირიქით, **„თიბისი ბანკი", რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა იმ საეჭვო 17 მილიონის „გათეთრების" ოპერაციაში, კიდევ უფრო გააძლიერეს.** ნებისმიერ თავმოყვარე ქვეყანაში ხაზარაძის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყებოდა, მაგრამ აქ ჯერ ერთი ამბავი ატეხეს და მერე ყველაფერი მიაჩუმათეს. **ხაზარაძეს მხოლოდ პიროვნულად შეეხნენ, ცოტა ყური აუწიეს და გააჩერეს, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა.** ბანკებმა და ბანკირებმა, შევარდნაძის პერიოდიდან მოყოლებული, საქართველოს ეკონომიკა გააჩერეს და ჩვენი ქვეყანა ჯართად აქციეს. ბანკირებს ლობირებდნენ ჟვანია-სააკაშვილის გუნდის წევრები, რომელთა უკანაც ამერიკელები იდგნენ. შევარდნაძე ამ ე.წ. რეფორმატორებს ფეხქვეშ ეგებოდა, რადგან ამერიკელების ეშინოდა. რაც შეეხება ვითომდა წარმატებულ ტურიზმს, ტურიზმის ის პოლიტიკა, რომელიც საქართველოში ტარდება, ხელს აძლევს თურქეთს!

**— რატომ?**

— საქართველოში შემოსული ტურისტი ფულს საქართველოს კი არა, თურქეთის ეკონომიკაში აბანდებს, რადგან საკვები პროდუქტების 80 პროცენტი, ტუალეტის ქაღალდი, პირსახოცი და ყველაფერი, სწორედ თურქეთიდან შემოდის! ვისაც საქართველო უყვარს, თუ ამას ვერ ხვდება, ძალიან ცუდად ყოფილა საქმე. ნებისმიერი ტურისტული კომპანია 400-500 ლარად წაგიყვანთ ეგვიპტეში და ერთი კვირით გაცხოვრებთ ოთხვარსკვლავიან სასტუმროში სამჯერადი კვებით. მაჩვენეთ საქართველოში ადგილი, სადაც ტურისტებისთვის ასეთი ხელსაყრელი პირობებია! აქედან გამომდინარე, ვინც ამას აკეთებს, ის საქართველოში ტურიზმის განვითარებაზე ფიქრობს?

**სულეიმან დემირელმა ტურიზმის განსავითარებლად ხალხს მიწები აჩუქა, 25 წლით ყოველგვარი გადასახადისგან გაათავისუფლა, ოღონდ ყველას პირობა ჩამოართვა — გამართულ ტურისტულ ობიექტებს ააშენებთო!** არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ საქართველოს აეროპორტები მთლიანად ეკუთვნის თურქეთს და თბილისის აეროპორტში დამატებით 80-ლარიანი მოსაკრებელია დაწესებული, ანუ ნებისმიერი ქვეყნიდან თბილისში ჩამოფრენა 80 ლარით იაფი ღირს, ვიდრე იმავე მიმართულებით თბილისიდან გაფრენა.

**— თუ ტურისტების რაოდენობა 400 და 500 პროცენტით იზრდება, ქვეყნის ეკონომიკას რატომ არაფერი ეტყობა და ხალხი გაჭირვებული რატომ არის?**

— იმიტომ, რომ ტურიზმის შედეგად შემოსული მილიონები ხმარდება თურქული ეკონომიკის აღორძინებას, საიდანაც ყველაფერი შემოგვაქვს — ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, პროდუქტები, ბოსტნეული, ბაღჩეული, საწერი კალმები, რვეულები, ტუალეტის ქაღალდი და ჰიგიენური საშუალებები. **საქართველო არის პარაზიტი ქვეყანა, რადგან არაფერს ვქმნით და მხოლოდ მოვიხმართ!** გამაგებინეთ, როგორ ხდება ის, რომ ბალტიისპირეთის ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც არავითარი ბუნებრივი რესურსი არ გააჩნია და საქართველოსთან შედარებით უღარიბესია, ათჯერ მეტი პროდუქციის ექსპორტს ახდენს, ვიდრე ჩვენ!

**— ბატონო თემურ, როგორც ვიცი, თქვენ უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის იცნობთ! არის თუ არა იგი მილიარდერ იგორ კოლომოისკის მასხარა და რა ინტერესები აქვს საქართველოში?**

— პრეზიდენტ ზელენსკის საარჩევნო კამპანიის დროს შევხვდი. უჭკვიანესი ბიჭია, მთელი უკრაინა შეკრა! ზელენსკი ხელისუფლებაში მოიყვანა ნიჭიერმა და გავლენიანმა ძალამ — ჯერ პრეზიდენტის როლი ათამაშეს, მისი პოპულარობა სერიალით გაზარდეს და აირჩიეს ის კაცი, ვისი როლიც ზელენსკიმ ითამაშა. მოკლედ, ზელენსკი დიდი რე-




**„დღეს ზესტაფონსა და ჭიათურაში ყველაფერს წარმართავს ცნობილი თაღლითი „რიჟა", რომლის უკანაც უჩა მამაცაშვილი დგას!"**




**„უჩა მამაცაშვილი არამარტო ქვეყნის, არამედ ბიძინა ივანიშვილის უბედურებაც არის!"**

## კვირგვინოსნები



**ვლადიმერ ბორცვაძე**
*შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი*

**მოვიპოვეთ მტკიცებულება, როგორ ურტყამს მიხეილ კალანდია რკინის საგანს სარალიძეს.**

„აიპრესი"



**თენგიზ კალანდია**
*მიხეილ კალანდიას მამა*

**ქალაქის პროკურორი ამტკიცებდა, რომ ჩემი შვილი უდანაშაულო იყო — ამ საქმეს ბევრი შეეწირება როგორც შსს-დან, ისე პროკურატურიდან!**

„ინტერპრესნიუსი"



**ლუკა კალანდია**
*მიხეილ კალანდიას ძმა*

**მკვლელს ვერ უმტკიცებენ ბრალს, თორემ ის უკვე დაკავებულია. ყველამ ყველაფერი კარგად იცის, უბრალოდ, ვერ უმტკიცებენ დანაშაულის ჩადენას.**

„ინტერპრესნიუსი"



**ბორის კაკუბავა**
*მიხეილ კალანდიას ბაბუა*

**ჩემი შვილიშვილი არ არის დამნაშავე და მას ღმერთი იცავს.**

„ინტერპრესნიუსი"



**გიგა ბოკერია**
*„ევროპული საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი*

**მიხეილ კალანდიას** დაკავება არის სწორი ნაბიჯი, ახლა ბრალი უნდა წაუყენონ იმ პირებს, ვინც გამოძიებას ამ ხნის განმავლობაში ხელს უშლიდა.

„ინტერპრესნიუსი"



**მალხაზ მაჩალიკაშვილი**
*თემირლან მაჩალიკაშვილის მამა*

**ყველაფერს მივხვდი, როდესაც ზაზა პატრიარქთან მეორედ დაიბარეს — დღევანდელი შედეგი დაიდებოდა...** ექვსი თვის განმავლობაში ერთად ვიბრძოდით. მას შემდეგ ზაზა სარალიძის მხარდაჭერა არ მქონია.

„პრაიმტაიმი"

ზო ჩხეიძის მეთოდით გააპრეზიდენტეს! ზელენსკისთან ათი წუთი ვილაპარაკე და სააკაშვილზე თვითონ მითხრა — მოქალაქეობა არასწორად ჩამოართვესო! დღეს ზელენსკისთვის ყველაზე დიდი პრობლემა იგორ კოლომოისკია, მაგრამ როგორც უკრაინელი მეგობრები მეუბნებიან, კოლომოისკი იმდენად ჭკვიანია, თამაშიდან გავა...

**— რაც შეეხება სააკაშვილს?**

— სააკაშვილმა უკრაინაში უკვე დაუშვა შეცდომა, როცა **ვიტალი კლიჩკოს** შეეკრა! მართალია, თვითონ უარყო ეს ინფორმაცია, მაგრამ სინამდვილეში შეკრულები არიან... იგორ კოლომოისკი საქართველოში 2004 წელს სააკაშვილმა შემოიყვანა. როდესაც შევარდნაძეს ვეუბნებოდი, რომ ჭიათურა-ზესტაფონი ერთ ეკონომიკურ ღერძად შეგვეკრა, სააკაშვილი კატეგორიულად მეწინააღმდეგებოდა. უფრო მეტიც, შევარდნაძეს ვთავაზობდი, „ჭიათურმანგანუმი", ზესტაფონის ფერო და თერჯოლის ჰესი, სოციალური პროექტის სახით, ბიძინა ივანიშვილისთვის გვეჩუქებინა! თოფაძემ იცის ეს ყველაფერი. სააკაშვილი ამაზეც აყვირდა, რადგან მას სხვა მიზანი ჰქონდა. კერძოდ, სააკაშვილმა და „მოქავშირმა" ჭიათურაში მაშინ ჩეხური ფირმა შემოიყვანეს, ჭიათურა გაძარცვეს და საწარმო გაკოტრების პირას მიიყვანეს. როგორც კი სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, იგორ კოლომოისკის არამარტო „ჭიათურმანგანუმი" და ზესტაფონის ფერო, არამედ „ვარციხეჰესიც" აჩუქა!

**— ბატონო თემურ, თუ კოლომოისკის ყველაფერი აჩუქა, მაშინ სააკაშვილი და კოლომოისკი ერთმანეთს რატომ აგინებდნენ?**

— **სააკაშვილი და კოლომოისკი სულ ერთად იყვნენ და დღესაც ერთად არიან!** საერთოდ ერთი რაღაც გვახსოვდეს, სააკაშვილსაც და ივანიშვილსაც დღეს ერთი ძალა მართავს და როგორც ეს ძალა გადაწყვეტს, ყველაფერი ისე იქნება — ისინი ერთმანეთს ხან დაეტაკებიან, ხან — არა! ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას **სააკაშვილ-კოლომოისკის** ურთიერთობაზე. ამიტომ პრეზიდენტ ზელენსკისთვის, რომელმაც უკრაინელი ხალხი შეკრა, დღეს კოლომოისკიც და სააკაშვილიც საფრთხეა! ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოსა და უკრაინის პატრონობა თავის თავზე აიღო და ვხედავთ, რა სიტუაციაა — ერთგანაც და მეორეგანაც ყველაფერი დანგრეულია!

**— ვინ ჰყავს ამერიკას რეზერვში და ვინ ეიმედება ყველაზე მეტად საქართველოში?**

— შევთანხმდეთ იმაზე, რომ ეროვნულისა და პატრიოტულის გაგრძელება ამერიკელებს არ სურთ! ვისაც საქართველოში ამერიკა პატრონობს, მათ შორის ყველაზე ნორმალური **დავით უსუფაშვილია**, მაგრამ მისი სოროსული წარმომავლობა ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია. აშკარაა, რომ ამერიკელები უსუფაშვილის გაძლიერებას ცდილობენ. „ამერიკის განვითარების სააგენტომ" პირდაპირ განაცხადა, რომ უსუფაშვილს პარტიის მშენებლობაში დაეხმარება! ასეთი რამ გაგიგიათ?

**შეიძლება, „ამერიკის განვითარების სააგენტომ", რომელიც ამერიკის განვითარებაზე უნდა ზრუნავდეს, უცხო ქვეყანაში პოლიტიკური პარტია შექმნას?**

**— უსუფაშვილის „შენების მოძრაობას" ვერც ამერიკა უშველის და ვერც პავლე მოციქული!**

— დავით უსუფაშვილს არჩევნებში კი არ გაამარჯვებინებენ, არამედ „ქართული ოცნებიდან" და ნაცებიდან წამოსულ ხალხს „შენების მოძრაობაში" მოუყრიან თავს! თუ მთელი საქართველო ფეხზე არ დადგა, 2020 წელს პარლამენტში შეუშვებენ მხოლოდ „ქართულ ოცნებას", ნაცებს, ნაცების განაყოფებსა და დავით უსუფაშვილს! დანარჩენებს ყველას დატოვებენ გარეთ. უცხოეთში რომ ვიყავი, ერთმა კაცმა მითხრა — თემურ, მეცოდები, მეცნიერებაზე დაფუძნებული პოლიტიკა საქართველოში ვის სჭირდება, პოლიტიკოსებად წოდებული ხალხი ფულში იხრჩობაო. მართალია! საკმარისი იყო, შევარდნაძის დროს მეთქვა, საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭი უნდა ვიყარო-მეთქი, 9 თვის განმავლობაში ორჯერ მომიწყვეს ავარია! მოგეხსენებათ, მეორე ავარიისას ჩემი მძღოლი გარდაიცვალა, ხოლო პირველი ავარიის დროს, ვინც უკან მომადგა, იმ პიროვნების სახლში, სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ, იმერეთის გუბერნატორი **დავით მუმლაძე** ცხოვრობდა. ეს იყო ნავთობბაზის ყოფილი დირექტორი, რომელსაც სასამართლოში ვუჩივლე, რადგან ნავთობბაზა უკანონოდ ჩაიგდო ხელში. ეს კაცი ჩემს მანქანას უკან მოჰყვებოდა. ავარია მომიწყვეს სიმონეთსა და ბარდუბანს შორის. მართალია, საავარიო იქ არაფერი იყო, მაგრამ ავარია მომიწყვეს და მანქანით უსათუოდ გადავიჩეხებოდი, რომ არა ის სამი ქვა, რომელიც იმ დილით შემთხვევით გზის მშენებელმა მუშებმა გზაზე დადეს. სააკაშვილმა საავადმყოფოში მინახულა და მითხრა — ამერიკის საელჩო ჯიბის ფულის სახით ყოველთვიურად 25 ათას დოლარს მაძლევს და აქედან რომ გამოხვალ, დავილაპარაკოთ, პარტია ერთად შევქმნათო!

**— ეს როდის მოხდა?**

— ეს მოხდა 2001 წლის თებერვალში! ამაზე სააკაშვილს ვუპასუხე — შენთან ვერ დავდგები, რადგან გარედან მართული ძალა ხარ-მეთქი! სააკაშვილს მაშინ ასაკი არ უწყობდა ხელს და პრეზიდენტობასაც მთავაზობდა — საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭი შენ იყარეო! უარი რომ ვუთხარი, მითხრა — შენ თუ არ შემომიერთდები, მაშინ მე პარტიას **რეზო შავიშვილთან, დათო უსუფაშვილთან, ლევან ბერძენიშვილთან** და **კობა დავითაშვილთან** ერთად შევქმნიო!

**— ზურაბ ჟვანია არ უხსენებია?**

— არა, რას ამბობთ, ჟვანია საერთოდ არ უხსენებია! ეს რომ მითხრა, დავურეკე **რეზო შავიშვილს,** რომელიც მაშინ კონტროლის პალატის თავმჯდომარე იყო და საირმეში აღმოჩნდა წასული. ჩავედი მასთან და პირისპირ შევხვდი. რეზო ამას დაადასტურებს! ამას იმიტომ ვამბობ, რომ არ ვცრუობ და სიმართლეს მოგახსენებთ!

**— ბატონო თემურ, სააკაშვილმა თქვენ, მგონი, გიგა ბოკერიაც გამოგიგზავნათ!**

— დიახ, ბოკერია „ვარდების რევოლუციამდე" ორი-სამი დღით ადრე გამომიგზავნა. ჯერ ბოკერია მთხოვდა, შევხვედროდი ხაშურში, შემდეგ — ქუთაისში, ოღონდ ნეიტრალურ ტერიტორიაზე. კატეგორიული უარი განვუცხადე და შევხვდი მხოლოდ ჩემს კაბინეტში. შეხვედრას ესწრებოდა ბატონი **ანდრო ლოლაძე.**

**— რას გთხოვდნენ?**

— სააკაშვილი მთავაზობდა, გადავმდგარიყავი! სანაცვლოდ „რევოლუციონერებს" შორის საპატიო ადგილი და ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობა გარანტირებული მექნებოდა. არ დავეთანხმე, ამ ბნელ ძალას ვერ გავურიგდი და არც არაფერს ვნანობ!

**— ბატონო თემურ, რაც ახლა ჭიათურაში მოხდა, როცა ხალხმა ნაწილობრივ თავისი მოთხოვნები დაიკმაყოფილა, ამით მილიარდერ იგორ კოლომოისკის ინტერესებს ფრთები შეეკვეცა?**

— როცა ჭიათურისა და ზესტაფონის ერთ ეკონომიკურ ღერძად გაერთიანებას ვაპირებდი, სააკაშვილმა და ოქრუაშვილმა „ჭიათურმანგანუმის" წინააღმდეგ გაკოტრების საქმე დაიწყეს!

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ გაკოტრების რეჟიმის პირობებში ჭიათურისა და ზესტაფონის ერთ ეკონომიკურ ბლოკად შეერთება არ გამოვიდოდა. სააკაშვილმა და ოქრუაშვილმა თავის ხელისბიჭებს 130 მილიონი დოლარის ღირებულების სილიკომანგანუმი ჩაუგდეს ხელში და, ცხადია, თავადაც დიდი სარგებელი ნახეს!

**— კოლომოისკი ჭიათურასა და ზესტაფონში როგორ აღმოჩნდა?**

— იგორ კოლომოისკი სააკაშვილს იულია ტიმოშენკომ დააკავშირა, რადგან ტიმოშენკო და კოლომოისკი პარტნიორები იყვნენ. ახლა ასეთი სიტუაციაა — ბიძინა ივანიშვილს იგორ კოლომოისკის შევიწროება ცნობილი თაღლითის **გიორგი ჭაპანძის,** ანუ იმავე **„რიჟას"** საშუალებით სურს!

**— ეს „რიჟა" თაღლითობისთვის არ იყო დაპატიმრებული?**

— ვაი და უი იმ საქართველოს, სადაც თაღლითი „რიჟა" ხელისუფლებასთან დაახლოებული „ბიზნესმენია"! პირდაპირ ვაცხადებ: **დღეს ზესტაფონსა და ჭიათურაში ყველაფერს წარმართავს ცნობილი თაღლითი „რიჟა", რომლის უკანაც უჩა მამაცაშვილი დგას!** ჭიათურაში ხალხმა ამის შესახებ არაფერი იცის. რასაც ახლა გეუბნებით, შესაძლოა, სიცოცხლის ფასად დამიჯდეს!

სააკაშვილის დროს ჭიათურაში 18 თუ 20 საწარმო აწარმოებდა მანგანუმს. სააკაშვილმა ყველას წაართვა ლიცენზია და ეს საწარმოები დაუქვემდებარა იგორ კოლომოისკის. ბიძინა ივანიშვილის დროს იმ საწარმოებს ლიცენზიები კი არ დაუბრუნეს, არამედ მხოლოდ ოთხ ფირმას მისცეს მანგანუმის ზესტაფონის ფეროში ჩაბარების უფლება, ანუ იმ 18-მა თუ 20-მა საწარმომ აუცილებლად იმ ოთხ ფირმას უნდა მისცეს პროდუქცია და შემდეგ ესენი მანგანუმს ჩააბარებენ ზესტაფონში. აი, ამ ოთხი ფირმის უკან დგანან: **უჩა მამაცაშვილი,** სააკაშვილის პრემიერ-მინისტრი **გიგა მგალობლიშვილი** და კიდევ რამდენიმე კაცი! თუ გვინდა, საქართველოს ეკონომიკის გაუბედურების მიზეზები ვიპოვოთ, საშუამავლო ფირმებზე ვისაუბროთ! **მამაცაშვილის საშუამავლო ფირმები ერთ ტონა მანგანუმზე 40-50 დოლარს იღებენ მაშინ, როცა, ვინც ხელებდაკაპიწებული შრომობს, იმას ტონაზე 5-6 დოლარი თუ რჩება!** აი, ეს არის რეალური სურათი და თუ ბიძინა ივანიშვილს აქამდე არ ეცოდა, რას აკეთებს უჩა მამაცაშვილი, ახლა ხომ გაიგებს?! ჰოდა, იცოდეს!

*ესაუბრა*
**დიტო ჩუბინიძე**







## კვირგვინოსნები



ზაზა სარალიძე არ გაუძღოლა და არც არასდროს გაიყიდება. რატომ რთული, დავაცადოთ შვილმკვლელ ადამიანს მცირე დროით დაისვენოს ემოციურად, ვინმეს შეუძლია წარმოიდგინოს, რა რთული დღეები გადაიტანა?

„პრაიმტაიმი"



მასობრივი გამო...ლევება გვაქვს ქვეყანაში! მტრედები და ფოლოვერები რატომ არ გაუშვეს ციხე?! ამ ნაბიჭვარს, რომლის მონაწილეობითაც **ორი ბავშვი ჩადის მიწაში,** ნათესავები ტაშით ხვდებიან. დიახ, ტაშით. თითქოს ეროვნული მასშტაბის გმირობა ჩაიდინა ან გადაარჩინა ვინმე, ან დაიხმარა... **და უბედურება ის არის, რომ ამ ეგოცენტრიკულ მარაზმში ვართ ყველა! საკუთარ ბოროტებას, ნაძირალობას არათუ არ ვამჩნევთ, ვახალისებთ კიდეც. ასე ხდება ყველანაირი გარყვნილება, ღალატი, სიბინძურე მისაღები და ხშირად — მისაბაძი მაგალითი...** ეს ძალოშვილელ ნახეთ, როგორ იკრიჭება... რა მომავალი უნდა აღზარდოს ამ ერმა?! აღარ მინდა აქ ცხოვრება, ამოიდა ყელში ეს გადარუნებული სარკეების ქვეყანა, ბლ...! ...უკანმოუხედავად წავიდოდი, გაქცევა არ მინდა მხოლოდ... **ნეტავ მალე დამთავრდებოდეს ეს მარაზმი, დაე, დარჩეთ კაციჭამია ვირთხებს ეს ქვეყანა. მიხარია, რომ აქ ჩემს ადგილს ვერ ვხედავ და არ არის.**

„მარშალპრესი"



**სარალიძის საქმეზე გამოძიების ჩიხში შეყვანი უნდა დაისაჯოს.**

„ახალი თაობა"



ეჰ, ზაზა სარალიძე, ხომ გვებრალება — როგორც კი დასჭირდებოდათ, მაშინვე გაწყვეტრიანდნენ. სწორედ ასეც მოხდა. **შეხედეთ, ეს კაცის არამსგავსი გარამა ჩაგბით ემურების გაწყვრებულ მამას,** **ესენი ხომ ადამიანები არ არიან.** პატარა ბიჭის სიცოცხლე სულაც არ ანაღვლებთ, მათთვის ადამიანის სიცოცხლე ხომ ჩალის ფასიც არ ღირს. **ეს ულმობელი, დაუნდობელი სექტაა, რომლებიც გამოყენებულნი იბრძვიან ხელისუფლებაში დასაბრუნებლად, რათა, ვინც ცოცხალი გადაურჩება, იმათაც სული ამოხადონ.**

„მარშალპრესი"